საქმის დროული განხილვის უფლებასთან დაკავშირებული ძირითადი გამოწვევები და პრობლემები საქართველოში

ანა ჩიქოვანი

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის ფაკულტეტზე საჯარო სამართლისა და პოლიტიკის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

საჯარო სამართალი და პოლიტიკა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ქეთევან ერემაძე, სამართლის დოქტორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2024

განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ანა ჩიქოვანი

25.06.2024 წ.

აბსტრაქტი

საქმის დროული განხილვის უფლება სამართლიანი სასამართლოს უფლების ის ძირითადი ფუნდამენტია, რომლის გარეშეც მთლიანად მართლმსაჯულებას და მის შედეგს შეიძლება აზრი დაეკარგოს. მიუხედავად ამისა, საქართველოში აღნიშნული უფლებით სარგებლობა მნიშვნელოვან გამოწვევებთანაა დაკავშირებული. ნაშრომის მიზანს წარმოადგენს სწორედ იმ პრობლემების გამოვლენა, რომელიც ხელს უშლის აღნიშნული უფლებით სარგებლობას.

ნაშრომში აღნიშნული კვლევის განხორციელების მიზნით, მიმოხილულია როგორც ქართული კანონმდებლობა და პრაქტიკა, ისე სხვა ქვეყნის გამოცდილებები და საერთაშორისო სტანდარტები.

კვლევის შედეგად დადგინდა, რომ საქმის დროული განხილვის უფლებით სარგებლობის თითქმის ყველა გამოწვევა უკავშირდება საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს და იმას, რომ ორგანო მის უფლებამოსილებას არარელევანტური მიზნებისთვის ან საერთოდ არ იყენებს.

ძირითადი საძიებო სიტყვები: საქმის დროული განხილვის უფლება საქართველოში, სასამართლო პროცესების გაჭიანურება, საპროცესო ვადები, სასამართლოს საკადრო პოლიტიკა, საქმეთა ნაკადის მართვა სასამართლოში, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო.

Abstract

The right to timely trial is the basic foundation of the right to a fair trial, without which the entire justice and its resoult may lose its meaning. Nevertheless, the use of this right in Georgia is associated with significant challenges. The purpose of the paper is to reveal the problems that prevent the enjoyment of the mentioned right.

In the work, both Georgian legislation and practice, as well as experiences and international standards of other countries, are reviewed .

As a result of the research, it was determined that almost all challenges related to the right to timely hearing of the case are related to the Supreme Council of Justice of Georgia and the fact that it uses its powers for irrelevant purposes or not at all.

Main search words: the right to timely trial of the case in Georgia, delay of court proceedings, procedural terms, court personnel policy, management of the flow of cases in the court, Supreme Council of Justice of Georgia.